საქართველოს მთავრობის განკარგულება

№551 2013 წლის 31 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski"-ს შორის 2011 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski"-ს შორის 2011 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კომპანია „Pomagalski"-ს მიერ მოსაწოდებელი 4 სამთო-სათხილამურო საბაგირო გზის მესტიის მუნიციპალიტეტში, მულახის თემში (სოფ. მაჯდვიერთან) დასაწყობების მიზნით, შპს „თეთნულდი დეველოპმენტმა" (შემდგომში - კომპანია) უზრუნველყოს სასაწყობე მეურნეობის მოწყობის სამუშაოების, მასთან დაკავშირებული საპროექტო და საექსპერტო მომსახურების, საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, პროექტირების პარალელურ რეჟიმში.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მიზნით, კომპანიამ უზრუნველყოს სასაწყობე მეურნეობის მოწყობის არეალში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და მათი დარეგისტრირებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურების შესყიდვის ფარგლებში საპროექტო ორგანი-

ზაციის მიერ წარმოდგენილი მონაცემების გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამის დასკვნებზე დაყრდნობით.

3. ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) გამოუყოს 1 470 000 (ერთი მილიონ ოთხასსამოცდაათი ათასი) ლარი კომპანიისათვის გადასაცემად.

4. თანხის გადარიცხვის პროცედურების განსახორციელებლად სამინისტრომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, 65-ე, 66-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად, უზრუნველყოს კომპანიასთან „თანხების გადარიცხვის შესახებ“ ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება.

5. სამინისტრომ უზრუნველყოს კომპანიის კაპიტალის გაზრდა გადარიცხული თანხის ოდენობით.

6. კომპანიამ უზრუნველყოს სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება გადარიცხული თანხების ხარჯვის შესახებ თითოეული გადარიცხული თანხის სრულად გახარჯვის შემდეგ, ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**